პროექტი

# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ ______

ქალაქი ქუთაისი ______ ______ ივნისი ______ 2026 წელი

**„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში, კერძოდ:

ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №141-№150 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2026 წლის --- ივნისის
№ განკარგულების დანართი

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

| № | ქონების დასახელება | მისამართი | ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი საპრივატი-ზებო საფა-სური (ლარი) | აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ) | სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 141 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №1-3-ის ჩრდილოეთით | 56 | 03.06.22.689 | 230.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 142 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა №83 | 103 | 03.01.22.799 | 210.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 143 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №44-ის მიმდებარედ | 128 | 03.05.22.1029 | 160.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 144 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №44ბ-ს აღმოსავლეთით | 185 | 03.05.22.1024 | 160.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 145 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №39-ის მიმდებარედ/ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი №39-ის ჩრდილოეთით | 692 | 03.05.27.786 | 210.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 146 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №10ბ-ს მიმდებარედ | 70 | 03.04.30.802 | 180.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 147 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირის დასაწყისის მიმდებარედ | 291 | 03.06.25.815 | 210.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 148 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, სოლომონ მეორის ქუჩა, II შესახვევი | 3163 | 03.06.24.729 | 60.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 149 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ავტომშენებლის გამზირი №43ბ | 98 | 03.01.23.914 | 100.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |
| 150 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №19 | 4211 | 03.05.22.1040 | 160.00 (1 კვ.მ.–ზე) | უპირობო | ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში |

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი